საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030651411961420

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1966 **28 / აპრილი / 2020 წ.**

შპს „კლინტექ"-ის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ ჭელიძეს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა თქვენი განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტები შპს „კლინტექ"-ის მიერ წარმოებულ სადეზინფექციო საშუალება „ზომა სპექტრი"-ს რეგისტრაციის შესახებ: 1.ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ. 2. უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები. 3. დასკვნა საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.
ასევე გაცნობებთ, რომ ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული კოლექციის (საცავი) ლაბორატორიაში, თქვენი განცხადების საფუძველზე, შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება „ზომა სპექტრი"-ს მადეზინფიცირებელი ეფექტი *S.aureus ATCC 25923, P.aeruginosa ATCC 27853, Enrerococcus hirae ATCC 10541, B.subtilis ATCC 6633 და B.cereus ATCC 4342)* შტამებით. სადეზინფექციო საშუალება ანოტაციებში მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიკრობების გაუვნებლობას და შესაძლებელია მისი გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

გამოყენების მეთოდი

„ზომა სპექტრი" წარმოადგენს ერთგვაროვან გამჭვირვალე კონცენტრირებულ სითხეს სპეციფიკური სუნით, რომელიც კარგად იხსნება წყალში. საშუალებას სადეზინნფეციოსთან ერთად ახასიათებს კარგი გამრეცხი უნარი, დეზოდორაციის და სხვა. არ იწვევს სხვადასხვა მასალისაგან და ლითონისაგან დამზადებული ხედაპირების დაზიანებას და კოროზიას, ასევე არ აზიანებს თერმომდგრად და არათერმომდგრადი მასალისაგან დამზადებული სამედიცინო ხელსაწყო იარაღების ზედაპირებს. არ ახდენს ორგანული წარმოშობის მქონე დაბინძურების ფიქსირებას. არ ტოვებს ლაქებს და ნალექებს. აცილებს დაბინძურებას, ბიოლოგიურ სითხეებს და სხვა. მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად, ხელსაწყო-იარაღების დეზინფექციას აწარმოებენ ხსნარში ჩაძირვით, მოსხურებით, გაწმენდით. ასაწყობ ნაკეთობებს ხსნარში ათავსებენ დაშლილ მდგომარეობაში. დეზინფექციის დროს არხები და ღრუები უნდა იყოს სავსე ხსნარით (ჰაერის საცობების გარეშე). სადეზინფექციო ხსნარი ზედაპირს უნდა ფარავდეს არა ნაკლებ 2 სმ-სა. სამუშაო ხსნარის რაოდენობა გამოითვლება სამუშაოს მოცულობისა და ცალკეული სამედიცინო დანიშნულების საგნებისა ან კომპლექტების რაოდენობის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ საგანი მთლიანად უნდა დაიფაროს და მოთავსდეს სადეზინფექციო სხნარში. „ზომა სპექტრი"-ს ხსნარის გამოყენებით კრიტიკული, ნახევრადკრიტიკული და არაკრიტიკული ჯგუფის ობიექტების სამედიცინო/ სტომატოლოგიური ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დეზინფექციის, წინასატერილიზაციო დამუშავებისა და სტერილიზაციის რეჟიმები დეტალურად მითითებულია მწარმოებლის მეთოდურ რეკომენდაციებში.

უსაფრთხოების წესები

„ზომა სპექტრი"-ს გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს და ინფორმაციას პროდუქტის შესახებ, გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაიცვას უსაფრთხოების წესები. არ იწვევს დასამუშავებელი ზედაპირების კოროზიას.

შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები და პირობები

„ზომა სპექტრი" დაფასოებულია ქარხნული წესით სხვადასხვა მოცულობის ბოთლებში. შენახვის ვადა მითითებულია ეტიკეტზე 36 თვე. ინახება მშრალ 0^0C დან $+40^0$C–მდე, მწარმოებლის მიერ შეფუთვით სითბოსა და აალების, სინათლისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

მწარმოებელი

შპს „კლინტექ"-ი, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 68ᵃ

ტელ: +995595222787;
ელ-ფოსტა: jk@zoma.ge

ჰიგიენური დასკვნა

„ზომა სპექტრი“ წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც გამოიყენება კრიტიკული (მ.შ.სტომატოლოგიური, დრეკადი ენდოსკოპების ჩათვლით), ნახევრადკრიტიკული და არაკრიტიკული ჯგუფის სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყო/იარაღებისა და აპარატურის დეზინფექციის, მაღალი დონის დეზინფექციის, წინასასტერილიზაციო დამუშავებისა და სტერილიზაციისათვის სამედიცინო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ასევე გამოიყენება საზოგადოებრივი დანიშნულების, საგანმანათლებლო, ფარმაცევტულ, პენიტენციალური სისტემის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, კომუნალური მომსახურების ობიექტებში მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად .

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე